

## ინსტრუქცია

### A. ლოჯისტიკური (მოქცევის წესები)

- (1) გამოცდის ხანგრძლივობა არის 30 წუთი.
- (2) როდესაც პლანეტარიუმში თქვენთვის გამოყოფილ ადგილებზე დაჯდებით, მოგეცემათ 5 წუთი ყველა ამოცანის წასაკითხად. პლანეტარიუმში ჩაერთვება მხოლოდ ამ დროის გასვლის მერე. პლანეტარიუმის ჩართვის შემდეგ, თქვენ მოგეცემათ 5 წუთი, რათა თვალი შეაჩვიოთ ცის გამოსახულებას.
- (3) თქვენს დასაჯდომ ადგილზე იპოვით საწერ დაფას, ფანარს და კალამს. მოცემულ რუკებზე (რუკა 1 და რუკა 2) საბოლოო პასუხის დასაწერად გთხოვთ გამოიყენოთ მხოლოდ მოცემული კალამი. სხვა საწერი საშუალებით მონიშნული პასუხი არ ჩაგეთვლება.
- (4) გამოცდის ნებისმიერ დროს შეგიძლიათ წამოდგეთ ადგილიდან და შებრუნდეთ ნებისმიერი მიმართულებით. თუმცა უფლება არ გაქვთ რომ თქვენს ადგილს გასცდეთ.
- (5) მკაცრად უნდა დაიცვათ სიჩუმე გამოცდის პერიოდში.
- (6) გამოცდის დასრულების შემდეგ, საწერი დაფა, ფანარი და კალამი დატოვეთ იმავე ადგილზე. დაკეცეთ რუკა, ჩადეთ კონვერტში და გადაეცით მოხალისეებს.

### B. აკადემიური (წერის წესები)

- (1) თქვენი პასუხების ფურცელი არის A4 ფორმატის ფურცელი, რომლის ორივე გვერდზე გამოსახულია ცის რუკები (რუკა 1 და რუკა 2). გთხოვთ დარწმუნდეთ, რომ თქვენს მონაწილის კოდს ჩაწერთ ფურცლის ორივე გვერდზე გამოყოფილ ადგილას (Contestant Code).
- (2) პასუხის მოსანიშნად ჩაწერეთ '+' ნიშანი შესაბამის ადგილას რუკაზე და გვერდით მიაწერეთ კითხვაში მოცემული ვარსკვლავის აღმნიშვნელი კოდი.
- (3) ადგილმდებარეობის მონიშვნაში დასაშვებია ცდომილება, თუმცა შეფასება მოხდება ცდომილების სიდიდის შესაბამისად.
- (4) კითხვის ყოველი ახალი ნაწილის დაწყება ცალკე გამოცხადდება. ამავდროულად გუმბათზე გამოჩნდება შესაბამისი კოდი. იყავით ყურადღებით.